საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-57

ქ. თბილისი

22/01/2019

სსიპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ნიგვზიანის საჯარო სკოლის ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მოწყობასა და ექსპლუატაციაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

სსიპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ნიგვზიანის საჯარო სკოლის მიერ გზშ-ს ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარმოდგენილია ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მოწყობისა და ექსპლუატაციის სკრინინგის განცხადება.

დაგეგმილი საქმიანობა ითვალისწინებს საკანალიზაციო ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მოწყობასა და ექსპლუატაციას. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ნიგვზიანის საჯარო სკოლის ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდი 27.14.48.009). საპროექტო ტერიტორიიდან უახლოესი მოსახლე დაშორებულია 40 მეტრით.

აღნიშნული ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის წარმადობა - 6მ³ დღღ. რომელიც გაანგარიშდა ერთი პირის მიერ საშუალო დღიური მოხმარებისა (25 ლიტრი) და სკოლაში მოსწავლეების, პედაგოგების და ადმინისტრაციის თანამშრომლების რაოდენობაზე (250) დაყრდნობით.

ჩამდინარე ფეკალური წყლების გაწმენდა ხორციელდება ბიოლოგიური გამწმენდი ნაგებობა „ბიოტალში“, რომელიც ხასიათდება: ჩამდინარე ფეკალური წყლების მაღალი ხარისხის გაწმენდით; ელექტროენერგიის დაზოგვით. დანადგარი მთლიანად ავტომატიზირებულია და არ საჭიროებს მუდმივ მეთვალყურეობას, მუშაობის პროცესში ჩამდინარე წყლების ნაკადის შემოდინების შესაბამისად, ავტომატურად გადაერთვება - პირველ, მეორე და მესამე ეკონომიურ რეჟიმში; მუშაობს ფორსირებულ რეჟიმში.

გამწმენდი ნაგებობა აღჭურვილია ავარიული სიგნალიზაციით. შესაძლებელია გამწმენდი ნაგებობის მართვა დისტანციურად. საჭირო არ არის ასენიზაციის მანქანა შლამის გასატანად, ზედმეტი აქტიური შლამის დაგროვება ხდება ტომრებში, რომელიც იდება დახურულ კონტეინერში ნაგავსაყრელზე გასატანად, ძველი ტომრის ადგილას მაგრდება ახალი ტომარა.

ჩამდინარე წყლების გაწმენდის ტექნოლოგიის მიხედვით არ ხდება მეთანისა და გოგირდწყალბადის გამოყოფა, რაც იძლევა საშუალებას ნაგებობა შენობასთან ახლოს მდებარეობდეს. დანადგარში პერიოდულად მეორდება ნიტრიფიკაციის და

დენიტრიფიკაციის პროცესი, რაც ხელს უწყობს გაწმენდილ წყალში აზოტისა და ფოსფორის შემცირებას.

ელ. ენერგიის შეწყვეტის შემთხვევაში შესაძლებელია დამაგროვებელი მოცულობიდან გამოიდევნოს ადრე დაგროვილი გაწმენდილი წყალი და შემდგომში იმუშაოს, როგორც მრავალსაფეხურიანმა სალექარმა, რომელიც უზრუნველყოფს ჩამდინარე წყლების გაწმენდას ცხიმებისა და მოტივტივე ნარჩენებისაგან.

გამწმენდ ნაგებობაში გათვალისწინებულია ჩამდინარე წყლების დაქლორვა უკვე გამზადებული ნატრიუმის ჰიპოქლორიდით, მისი მიწოდება ხდება ავტომატურად საანგარიშო დოზაა 3 გრ/მ³ წყალთან კონტაქტის ხანგრძლივობაა 30 წთ. ექსპლუატაციის პროცესში განისაზღვრება ქლორის ზუსტი რაოდენობა.

გასაწმენდად მიწოდებული ჩამდინარე წყალი თანმიმდევრულად გადაედინება პირველიდან მეორე და მესამე რეაქტორში და თითოეულ მათგანში გადის ბიოლოგიური გაწმენდის განსაზღვრულ ციკლს. თითოეულ რეაქტორში მრავალჯერ მეორდება შერევის პროცესები, ამასთან მესამე საფეხურის ბიორეაქტორი პერიოდულად გადადის დაწმენდის რეჟიმში, რის შემდეგაც გაწმენდილი ჩამდინარე წყალი გადაიქაჩება ბიოლოგიურ ფილტრ-სალექარში.

დასაწმენდი წყლის ბიოფილტრში მოხვედრისას, გაუვნებელყოფისათვის სრულად გამოიდევნება წინა ციკლის დროს გაწმენდილი ჩამდინარე წყლები, რომელიც ქვემოდან ზემოთ მოძრაობს. გაუვნებელყოფა ხორციელდება ქიმიური გზით, საკონტაქტო რეზერვუარში, ნატრიუმის ჰიპოქლორიტის აუცილებელი პორციის დოზირების გზით. თავის მხრივ, ბიოფილტრში საბოლოოდ გაწმენდილი წყლის პორცია გადაედინება დანადგარის ქვედა ნაწილში, გასაუვნებელყოფად და გამოდევნის უკვე გაწმენდილ წყალს.

ჩამდინარე წყლის გამწმენდი ნაგებობიდან გამოსული გაწმენდილი წყლის ჩაშვება მოხდება სკოლასთან 60 მეტრში მდებარე სანიაღვრე არხში.

დანადგარი არ საჭიროებს ადგილზე მშენებლობას და საჭიროა მხოლოდ ფუნდამენტის მოწყობა. მონტაჟის სავარაუდო პერიოდად განისაზღვრება 10-15 დღე.

აღნიშნული გამწმენდის მოწყობისას არ არის მოსალოდნელი ხმაურის გავრცელების გადაჭარბება. თუ გავითვალისწინებთ დანადგარის მონტაჟისთვის განკუთვნილ მინიმალურ დროს ხმაურის კუთხით ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

დაგეგმილი სამუშაოების მასშტაბიდან გამომდინარე, ფუნდამენტის მოწყობის ეტაპზე წარმოქმნილი ნარჩენების რაოდენობა არ იქნება მნიშვნელოვანი. ექსპლუატაციის ეტაპზე წარმოქმნილი ნარჩენის მართვას განახორციელებს კონტრაქტორი კომპანია, რომელიც ბიოტალის მოვლა-პატრონობის მიზნით იქნება დაქირავებული სკოლების მიერ.

საქმიანობის განხორციელება არ საჭიროებს დამატებითი მისასვლელი გზების მშენებლობას. გამწმენდი ნაგებობის ტერიტორიამდე მისასვლელი გრუნტის გზების ტექნიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. ექსპლუატაციის ეტაპზე ნიადაგის დაბინძურება არ იქნება მოსალოდნელი. შესაბამისად, მნიშვნელოვანი ზემოქმედება ნიადაგის ხარისხზე და სტაბილურობაზე მოსალოდნელი არ არის.

საპროექტო ზონის მდებარეობიდან გამომდინარე ზემოქმედება, დაცულ ტერიტორიებზე და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ძეგლებზე, მოსალოდნელი არ არის.

ანგარიშის მიხედვით ზემოაღნიშნული საქმიანობის განხორციელება არ უკავშირდება რაიმე სახის მასშტაბური ავარიის ან კატასტროფის წარმოქმნის რისკებს. დაგეგმილი საქმიანობა გაუმჯობესებს ჰიგიენურ პირობებს.

ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის და ამავე კოდექსის II დანართის მე-10 პუნქტის 10.6 ქვეპუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ სსიპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ნიგვზიანის საჯარო სკოლის ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მოწყობა და ექსპლუატაცია **არ დაექვემდებაროს** გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. სსიპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ნიგვზიანის საჯარო სკოლა ვალდებულია,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის'' მე-7 მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად უზრუნველყოს გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილი მოთხოვნებისა და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს სსიპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ნიგვზიანის საჯარო სკოლას;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს სსიპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ნიგვზიანის საჯარო სკოლის მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული გადაწყვეტილება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი